

# ივერი

რედაქცია:  
ნიკოლოზის ქუჩა, 21  
ტფლისი,  
გაზეთის დასაბამი  
და განცხადებათა დასაბამად  
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის  
გამაგრ. საზოგადოების კანცელარიას.  
ფასი განცხადებისა:  
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—  
16 კაპ. მეოთხედზედ—8 კაპ.

თვე	ან. კ.	თვე	ან. კ.
12	10	6	6
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაურსი.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ამ ნომერთან ერთად „ივერიის“ ხელის მომწერთ ეგზავნებათ გ. გებგარტის განცხადება.

## პატივითი კვილის პატივითი 3. ი. პიტიანისა და მ-ნის მს. დ. ილარიონისა.

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზისი, 79.  
ავადმყოფებს მიიღებენ დღის 9—  
3 და საღამოს 4—7 საათამდე.

ხუთშაბათს, 23 მარტს  
ქართულის იაფ-ფასიანის სამკითხვე-  
ლოს სასარგებლოდ  
ტფლისის არტისტულ საზოგადო-  
ებაში.

იქნება წარმოდგენილი:

- I  
დედა და შვილი  
სტენა ილ. ჭავჭავაძისა
- II  
ბნელსოთაძი

## III კონსერტის განყოფილება

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ  
ნ. ი. მესხივეისა, ი. გარგარეთელი,  
დიასამიძე, გ. აბაშიძე და სხვანი.  
დასასრულ წარმოდგენილი იქნება:  
რუსულს ენაზედ „ШКОЛЬНАЯ ПАРА“.  
(2—უ.—2)

## გამგებობა

ტფლისის სასურთაოთა სასო-  
ფლო მუწუნებას კრედიტის სა-  
ზოგადოებასა ამითაცხადებს, რომ  
25-ს ამა მდგომარე მარტიდამ მიი-  
ღებს არზებს მათგან, ვინც მოისურ-  
ვებს კრედიტს იქონიოს ხსენებულ  
საკრედიტო დაწესებულებისაგან და  
წვევრად ჩაეწეროს. წვევრად შესაძ-

## ველეტონი

ცხოვრების ბრალისა?  
(დასასრული \*)

## II

გავიდა რამდენიმე წელიწადი. მი-  
ტო ბუქიაშვილი იურიდიული ფა-  
კულტეტი გაათავა საუკეთესო სტუ-  
დენტად. ადგილიც ძალიან ნაღვ  
იზოგნა ტფ—ში და დაუწყა კანო-  
ნებს შესწავლა, ჯიჯგენა. ასპარეზი  
დიდი გამოუჩნდა. მისს სახლში ფუს-  
ფუსით დაიარებოდნენ მომჩივარ-მე-  
პასუხენი, რომელნიც ბუქიაშვილი-  
საგან რჩევა-დარიგებას თხოულობდ-  
ნენ; მალე მიტომ კანონების მკოდ-  
ნეს სახელი განითქვა მთელს ქალაქ-  
ში. ცხოვრებითაც ძალიან კარგად  
სცხოვრებდა, როგორც შეჭვრის  
ნასწავლს, სახელოვანს იურისტს, კან-  
ონების საფუძვლიანად მკოდნეს...

იმ დროს, როცა მიტო ამ ფუ-  
ფუნებაში იყო, ასე მდიდრულად  
სცხოვრებდა, იმისი ღარიბი დედ-მამა

\* იხ. „ივერია“ № 63.

ლოა ჩაეწერონ და კრედიტი იქონი-  
ონ ყველამ, წოდებისა ზ სქესის განუ-  
რჩევლად, სოფელს და ქალაქელ-  
სა. რა გვარად და რა სახით უნდა  
დაწერილ იქნას არხა, ამისათვის სა-  
ჭიროა მიმართონ თვით გამგებობას,  
რომელიც დროებით მოთავსებულია  
ტფლისის სათავადაზნაურო ბანკის  
ქარვასლაში, და ყველა საჭირო ცნო-  
ბას იქ მიიღებენ.

თხოვნები მსურველთ შემდეგის  
ფორმით უნდა დასწერონ.  
ტფლისის საურთიერთო სასოფ-  
ლო მეურნეობის კრედიტის საზოგად-  
ოების გამგებობის მიმართ  
(წოდება, სახელი, მამის  
სახელი და გვარი; რო-  
მელ მაზრიდან.)  
თხოვნა

უმორჩილესად გთხოვთ, მიშუამ-  
დგომლოთ, რათა მიღებულ ვიქნე  
საზოგადოების წევრად. შემომაქვს რა  
(აღნიშნულ უნდა იქნა ფულის რა-  
ოდენობა). ამასთანავე პატივი მიქვს  
გაუწყეთ შემდეგი ცნობები:

- 1) მაქვს უძრავი მამული (სად იმ-  
ყოფება, რა მამულია, დაახლოებით  
რამდენი ღირს, დაგირავებულია თუ  
არა და ან რა ფასში?)
- 2) ჩემი ხელობა (მიწათ-მოქმედე-  
ბა თუ რაიმე ხელობა?)
- 3) ვვაჭრობ 18—წლიდან (რა სა-  
ქონლით?) წელიწადში დაახლოვე-  
ბით ა) ( ) მანეთის საქონელსა  
ვყიდულობ ბ) და ვყიდი ( ) მანე-  
თისას.
- 4) ვასრულებ თანამდებობას. და
- 5) ვსარგებლობ კრედიტით (რომელ  
საკრედიტო დაწესებულებაში და ან  
რა ზომით)

ხელის მოწერა.   
საცხოვრებელი ადგილი

ისევ იმ მდგომარეობაში იყვნენ, ისევ  
იმ სიღარიბეში, როგორც მიტოს  
სტუდენტობის დროს; უარესად გა-  
ლატაკდნენ და ამ შევიწროებას ზედ  
დაერთო ხანგრძლივი ავადმყოფობა,  
რომელმაც ისეც განადგურებული და  
დაზარალებული ოჯახი უარესად განად-  
გურა და ძირს დასცა.

— აქი გეუბნებოდი ხოლმე, მარი-  
ამ, რომ მიტო ჩვენ არ გამოგვადგე-  
ბა-მეთქი... მაგისი იმედი მაშინ და-  
კარგე, როდესაც რუსეთიდან პირ-  
ველად გადმოვიდა და ისე გულ-  
გრილად მოგვექცა. ის დღე სიკვდი-  
ლამდის არ დამავიწყდება... ყველა  
იმას მეუბნება: ბედნიერი შვილი გა-  
მოვივიდაო... ყველა ბედნიერად  
მთვლის... მაგრამ განა ეს ჩვენი მდგო-  
მარეობა ბედნიერებაა?... რაში ეტ-  
ყობა კარგი შვილობა? მე დღეს  
მშვიერი ვკვდები, მოუფლელად, უპა-  
ტრონო, ჩემი ბედნიერი შვილი, ის  
კარგი შვილი-კი პარაპარობს, ბატო-  
ნურად განცხრომით სცხოვრებს...  
ავადმყოფობისაგან მისუსტებული  
გრიგოლი მღელვარებაში მოდიოდა  
და თან პირში ნერწყვი უშვებოდა.

— გულს ნუ იშფოთებ, კაცო,  
რა ვუყოთ, ღმერთი მოწყალეა...

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერელნი  
ვამოწმებთ, რომ ამა თხოვნას ნამ-  
დვილად ხელს აწერს  
ხელის მომწერლები:

## ლია წარილი

„ივერიის“ მე-61 ნომერში წავიკი-  
თხე მოწინავე წერილი ბ-ნ ლალისა,  
რომელიც, გვიჩვენებს—რა კიდევ ერთს  
ჩვენს ნაკლულეფანებათაგანს ჩვენის  
მომავალი თაობის აღზრდის შესახებ,  
—გვიჩვენებს მიგბადით განათლებულს  
ქვეყნებს და მომავალში დაეაარსოთ  
„დედათა საზოგადოება“. რა სარგე-  
ბლობის მოტანაც შეუძლიან ამ სა-  
ზოგადოებას, ამას თვით ბ-ნი ლალი  
განმარტებს.

დიად, მწერლის მოვალეობაა მო-  
გვაგონოს, აგვიხსნას, გვიჩვენოს, რომ  
ამა და ამ ქვეყნებში, ესა და ეს სა-  
სარგებლო დაწესებულებანი არიან,  
ჩვენც მათ მიგბადით, ნუ ჩამოვუ-  
ვარდებითო. აღსრულებადი მოყვანა-  
კი საზოგადოების ვალია. ძალიან  
კარგი და პატიოსანი მოგვეცეს სი-  
ცოცხლე, რომ ბევრი ჩვენ გვაკლ-  
დეს, ბევრსაც წავიკიდეთ, ბევრიც  
დაგვჩა; ამ უკანასკნელში, სხვათა  
შორის, ჩვენის მომავლის თაობის გო-  
ნებრივი და ზნეობრივი გაუმჯობესე-  
ბაც, ყველა ამას უნდა, დახმარება;  
მაგრამ არ შეგვიძლიან გულ-მტკი-  
ნეულად არ შევიწინოთ ჩვენს მწერ-  
ლებს, რომ ყოველ ამგვარ დაწესე-  
ბულებათა დაარსების სურვილი ისე  
ზედი-ზედ მოხდა მაშინ, როდესაც  
ჯერ ერთს მათგანსაც მკვიდრი სა-  
ძირკველი არ მისცემია ჩვენში, ძა-  
ლიან შორს არის მიზნის მიღწევაზედ.  
ჩვენის აზრით მათი მოვალეობაა მო-  
სვენება არ მისცენ საზოგადოებას პი-

ჩვენზედ უბედურებიც ბევრი არიან,  
ზოგს დედ-მამას შვილები კიდევ სცე-  
მენ ხოლმე...

— რას ეძახი შენ ცემას? ათასჯერ  
მერჩინა ცემა ამ უპატრონოდ სიკე-  
დილს! სად არის ის მოწყალეობა, რო-  
მელზედაც მეუბნები? განა ღმერთი  
ღარიბების მოწყალეა? კაცი ვკვდე-  
ბი, რამდენი ხანია თბილი ლუქმა  
პირში არ ჩამიდგია, უწყალობით,  
უქმელობით ღამის სული ამომხდეს  
და ჩემთვის ერთი ტკბილის სიტყვის  
მთქელი, მაიმედებელი არავინ არის!..  
ის არსება, რომელიც ღმერთად მი-  
მანდა, რომელზედაც მზე და მთვა-  
რე ამომდიოდა, რომელიც ჩემი სი-  
ცოცხლე და ნეტარება იყო, ის ეხ-  
ლა ზურგს მაქცევს, უარს-წყოფს თა-  
ვისს მშობელს, საყვარელს მამას და  
სანახავდაც არ მოდის... განა ამ  
დღეს მოველოდი?! განა სიკვდილი  
არა სჯობს ასეთს მოშხამულს სიცი-  
ცხლეს?! ნეტავი ერთი თვლით მა-  
ინც მანახვა, ერთი ხმა გამცეს და  
მერე თუ გინდა მოგვკდე... შვილია,  
ჩემი ჯიჯგარი, თუმცა იმას არ ვუყვარ-  
ვარ, მაგრამ მე მაინც მიყვარს!..  
გრიგოლმა ლაპარაკი ვერ დაასრუ-  
ლა და ბავშვივით ქვითინი დაიწყო,

რველად ამორჩეულის საქმის მრავალ-  
ჯერ მოგონებით, ვიდრე ბოლო არ  
მოვლდება. „ალიას დარდი რა იყო და  
ფლავიო“, ნათქვამია. მეტად გულ-  
ზედ გვაბია შევიწროებული მდგომარე-  
ობა ჩვენის სტუდენტებისა და ამი-  
ტომ ხელ-ახლად გვინდა მივიქციოთ  
ყურადღება მათი, ვისიც ჯერ არს  
იმათ შესახებ.

თვეზედ მეტია მას აქეთ, რაც ისევ  
ბ. ლალის წყალობით გაიხსენეს ი-  
წესდებულება, რომელიც უწინ იყო  
თურმე თითქმის შედგენილი; ამას,  
როგორც მოსალოდნელი იყო, უნდა  
მოჰყოლოდა თან საქმის დაწყებაც,  
მაგრამ მგონია, რომ ჯერ ისევ იმა-  
ზედ გაფრთხილეთ, რომ წესდებულება  
უნდა შემუშავდესო. ძალიან კარგი,  
მაგრამ, ეს ხომ ვიცით, რომ რა გვა-  
რიც უნდა იყოს წესდებულება, იმის  
აღსრულებას უთუოდ სჭირდება თან-  
ხა. რას დავკარგავთ იმითი, თუ არ  
შევიმატებთ, რომ წინ-და-წინვე შე-  
ვუღებთ იმ თანხის შეგროვებას.

არ ვიცით, ქალაქ ადგილას რას  
ამჯობინებთ ამისათვის და სოფლად-  
კი, ჩვენის აზრით, შემდეგმა უნდა  
მოიტანოს სასურველი ნაყოფი: იკის-  
როს ერთმა ჩვენმა მოწინავე პირთა-  
განმა მეთაურობა, რომელიც თავის-  
და შეხედულებით ამორჩევეს ქარ-  
თლ-კახეთის სოფლებში რამდენსამე  
კაცს და დაავალებს მათ წვერთა  
მოკრებას მომავლის დაწესებულე-  
ბისათვის. სრულიად დარწმუნებული  
ვართ, რომ არც ერთი ქართველი  
ოჯახი არ დაინანებს დაწესებულს წლი-  
ურს გარდასახად ასეთის საყურად-  
ღებო საქმისათვის. ამას ამტკიცებს  
ის გულ-მხურვალე თანაგრძნობა ჩე-  
ნის სოფლების საზოგადოებისა, რო-  
მელსაც ის იჩენს ყოველს ზაფხულს

თავისუფალი მოაზრე, ახალი მიმარ-  
თულების ყმაწვილი კაცი, — დღეს  
ხალხის სქელ-კანა წურბელად გახ-  
დებოდა; თუ ბუქიაშვილის ფულის  
სიყვარული გაიტაცებდა და თვისს  
აზრებს, მიმართულებას ზურგს შეაქ-  
ცევდა. მაშ, ყველა მიტოსგან უნი-  
ვერსიტეტში გულ-მხურვალეობით წა-  
რმოთქმული აზრები და ქადაგება  
საზოგადო საქმეებზედ მხოლოდ ფა-  
ფხური და ყმაწვილური გატაცება  
იყო, პაერში გასროლილი სიტყვები  
და სხვა არაფერი!.. ჰეიქრობდა თა-  
ვისთვის თელო.

როდესაც ხალხი წავიდ-წამოვიდა  
და ეს ორი მეგობარი დარჩა ერთად,  
თელომ ზიზღით, დაცინვის თვლით  
შეჰხედა მიტოსა და უთხრა:  
— ეს იყო, მიტო, შენი პრინცი-  
პები?! სად არის ეხლა შენი ფრაზე-  
ბი?! „თავისსი დღეში გამდიდრების  
სურვილს არ აღვიძრავ, სიმდიდრე  
კაცის მაცდურიაო. ჩემი პრინციპი  
დაზარალოთა ხალხის დახმარება იქ-  
ნებაო. ჩვენს ხალხს უნდა გავაცნო  
ის კანონები, რომელნიც მისთვის ბუ-  
რუსით არიან მოცულნი და მისთვის  
სრულიად გაუგებარიაო...“ შენ არ ამ-  
ბობდი ამას?! ეს არის დაზარალების

თელომ რომ იქაურობა კარგად  
დაათვლიერა და სახლის მოწყობი-  
ლების ელვარება თვალში ეცა, რა-  
ღაცა ზიზღის გრძობა აღედგა მას,  
სიბრაზით გული აეფსო და მზად იყო  
ამხანაგი შუაზედ გაეგლიჯა. თელო  
თვალებს არ უჯერებდა, არა სჯერო-  
და, თუ მიტო უნივერსიტეტში თა-  
ვისუფლების, ერთობის მქადაგებელი,

სტუდენტების სასარგებლოდვე გამა-  
რთულს წარმოდგენებში. მათს ჯიბეს  
აღვება ძალია ერთს ზაფხულში რამ-  
დენჯერმე სხვა-და-სხვა სოფლე-  
ბში გამართულს წარმოდგენებში  
და მამასადამე წლიურს გარდა-  
სახად თავისს დღეშიაც არ გაექ-  
ცვიან. სოფლებში შეგროვილს ფულს  
მიემატება ქალაქში მცხოვრებთა  
შორის შეგროვილი ფული და ამ ნა-  
ირად შესდგება გვარიანი თანხა. ამას  
ზედ დაემატება ჩვენი ბანკიც, რომ-  
ლის წევრებიც როგორც სხვა დროს  
დასებათა ქიშპობას დარწმუნებულნი  
ვართ სტუდენტების საქმეს არ შეა-  
ხებენ და გადუწყებენ რამდენიმე  
ასს თუმანს. ამ ნაირად წლითი-წლო-  
ბამდე შესდგება ისეთი თანხა, რომ-  
ლის მოწყალებითაც დედ-მამას საშუ-  
ალეობა მოგვეცემა გაუწყვდინოთ ლუ-  
კმა პური ჩვენს შვიერს შვილებს.

სასურველია, მეტად სანატრელიც,  
რომ რითიმე დაბოლოვდეს ეს ყო-  
ვლად საყურადღებო საქმე; იმდენად  
საყურადღებო, რომ რაც ჩვენში ამ  
ქამად ფონდებია დაარსებული, რო-  
მელთა შორის ჯერ ერთიც არ დამ-  
თავრებულა, სულ რომ ერთს ფონ-  
დად გაიქციოდეს და ეწოდებოდეს  
მას „ფონდი ღარიბ სტუდენტთა სა-  
სარგებლოდ“, მგონია, რომ უფრო  
მეტს სარგებლობას მოუტანდა ჩვენს  
დაზარალებულს, ყველაში უკან ჩამო-  
ჩენილს ქვეყანას.

ვინ გამოვა წინააღმდეგი ყველა იმ  
ფონდების შესახებ, რომლებიც უკვე  
არაიან ჩვენში, ვინ არ დაეთანხმება  
ჩვენის ბავშვების გონებრივისა და ზე-  
ობრივის აღზრდის გაუმჯობესებას, მა-  
გრამ როდესაც თვალ წინ გვიდგია  
უბედური მდგომარეობა ჩვენის უკვე  
დაფრთხილებულის შვილებისა, რომ-

თავისუფალი მოაზრე, ახალი მიმარ-  
თულების ყმაწვილი კაცი, — დღეს  
ხალხის სქელ-კანა წურბელად გახ-  
დებოდა; თუ ბუქიაშვილის ფულის  
სიყვარული გაიტაცებდა და თვისს  
აზრებს, მიმართულებას ზურგს შეაქ-  
ცევდა. მაშ, ყველა მიტოსგან უნი-  
ვერსიტეტში გულ-მხურვალეობით წა-  
რმოთქმული აზრები და ქადაგება  
საზოგადო საქმეებზედ მხოლოდ ფა-  
ფხური და ყმაწვილური გატაცება  
იყო, პაერში გასროლილი სიტყვები  
და სხვა არაფერი!.. ჰეიქრობდა თა-  
ვისთვის თელო.  
როდესაც ხალხი წავიდ-წამოვიდა  
და ეს ორი მეგობარი დარჩა ერთად,  
თელომ ზიზღით, დაცინვის თვლით  
შეჰხედა მიტოსა და უთხრა:  
— ეს იყო, მიტო, შენი პრინცი-  
პები?! სად არის ეხლა შენი ფრაზე-  
ბი?! „თავისსი დღეში გამდიდრების  
სურვილს არ აღვიძრავ, სიმდიდრე  
კაცის მაცდურიაო. ჩემი პრინციპი  
დაზარალოთა ხალხის დახმარება იქ-  
ნებაო. ჩვენს ხალხს უნდა გავაცნო  
ის კანონები, რომელნიც მისთვის ბუ-  
რუსით არიან მოცულნი და მისთვის  
სრულიად გაუგებარიაო...“ შენ არ ამ-  
ბობდი ამას?! ეს არის დაზარალების

ელთაც ასეა თუ ისე აუვლიათ კი-  
დეც ის გრძელი და მრავალ-მტანჯ-  
ველი კიბე და უკანასკნელს საფეხუ-  
რამდე ასვლისთვის საჭიროა დროს  
ჰკარგვენ ნაილეჯობასთან ბრძოლა-  
ში—ნუთუ ამ ხანობით რაიმე-ღა ფი-  
ქრი უნდა აწუხებდეს ჩვენს გულს,  
სხვა რაიმე საქმეზედ-ღა უნდა გვექა-  
ნდეს თათბირი?

რუსეთის ცნობილი კრიტიკოსი  
ამბობს:

„ყოველის პატიოსანის მოღვაწის  
დანიშნულებაა, გადასწყვიტოს ის აუცი-  
ლებელი საკითხავი, რომელიც მშინ-  
ერთა და გაშიშვლებულთ შიშებსა,  
რადგანაც ამ საკითხის გარეშე არა  
სუფეხს იმისთანა, რომლის გულის-  
თვისაც ღირდეს კაცმა იზრუნოს იფ-  
იქროს და იმეცადინოს.“

უქვეყნოა ამ სიტყვებში უფრო ფა-  
რთა აზრია მოთავსებული, მაგრამ  
დღეს ჩვენ სტუდენტებზედ ღარიბნი  
და ტიტველნი არავინ გვყავს თით-  
ქმის. მაშასადამე, როგორც ბ-ნი ლა-  
ლიც ბრძანებს, დრო და გარემოების  
მოთხოვნებით შევერთოდეთ ერთად  
და ჯერ ამ ერთს საქმეს მივსცეთ  
საფუძვლიანი ნიადაგი. ხომ მოგეხ-  
სენებათ: „ბევრი ხელის ჰირიმი და  
ერთი პირისაო.“

დიად, კარგია ისეთი ნივთიერი ძა-  
ლა მოსდევდეს ქვეყანას, რომ შეეძ-  
ლოს ღირსეულად პატივი-სცეს, რო-  
გორც ცოცხალთ, ისე გარდაცვა-  
ლებულთ მოღვაწეთაც ქვეყნისადმი,  
მაგრამ როდესაც დღეს ჩვენი სამ-  
შობლო იმას მოკლებულია, მგონი  
რომ მომავლის თაობის უყურად-  
ღებობას არც ის დიდებული პირნი  
მოგვიწონებენ. არა გვგონია, რომ  
შოთა რუსთაველი, ნეკოლოზ ბარა-  
თაშვილი და სხვებმა, რომელთა  
მოსახსენებლათაც ფონდებია დაარ-  
სებული, იკისრონ, რომ იმათი სა-  
ხელის, მოხსენება მხოლოდ უსულო  
ძეგლებით შეგვეძლოს და არა მათის  
აზრების განხორციელებით; ამაზედ  
ისინი-კი არა, თვით უცხო ქვეყნის  
შვილი ბროსსეც არ დაგვეთანხმე-  
ბოდა.

რაიცა შეგებება საბავშვო ურუნა-  
ლების გაუმჯობესებას, რომელზედაც

ხალხის შველა?! ვილაც მდიდრების-  
თვის ყოველს სისაძაგლეს იღენ, უკე-  
თებ მაგათ საქმეებს, რომ უფრო კარ-  
გად, ადვილად ჩაწყობონ, გულიანად  
დალიონ სისხლი ღარიბებისა და და-  
ჩაგრულთა!.. მაშ უნივერსიტეტში  
მგელი იყავ და მცხვრის ტყავით გვე-  
ჩვენებოდი?!

— ეჰ, ჩემო თელო, მეც აგრე მე-  
გონა, აგრე ვფიქრობდი... მაგრამ  
ცხოვრებამ სულ სხვა რამ მიჩვენა!..  
თურმე, რასაც ჩვენ სტუდენტობაში  
ფიქრობდით, გვემეხება ვადგენდით და  
ვოცნებობდით, ყველა ამისი სრული-  
ად შესრულება და განხორციელება  
შეუძლებელი ყოფილა! იმ სიმარ-  
თლით, ქეშმარიტებით, თავისუფლე-  
ბის ქადაგებით, სიყვარულით, რომ-  
ლითაც უნდა გვეხელმძღვანელა ცხო-  
ვრებაში, გვემსახურა საზოგადოე-  
ბისათვის,—თურმე ამაებით კაცი  
შორს ვერ წავა! პირველად მეც ვე-  
ცადე სიმართლისათვის ჯვარს ვცმუ-  
ლიყავ, დაჩაგრულთა ბედი გამეუ-  
ჯობებინა, მაგრამ ყველამ მასხარუ-  
ლის თვლით შევხედა ჩემსწამდე-  
ბას; სიმართლის ძებნაში, კინაღამ შიშ-  
შილით არ მოვეკვდი!.. თუ ზემოხსე-  
ნებულს პრინციპებს ემსახურები, მა-

იმავე მოწინავე წერილშია ნათქვამი,  
რუსული ურუნალებიდან ამბების გა-  
დმოთარგმნით, — ეს მოვალეობაა  
თვით რედაქციისა, მიჰმართოს სხვა-  
და-სხვა პირებს, შეიძინონ და გად-  
მოსთარგმნონ რედაქციისგანვე ამორ-  
ჩეული წიგნები და დარწმუნებულნი  
ვართ ამაშიაც, რომ ყოველი ქართ-  
ველი ქალი სიხარულით მოჰკიდებს  
ხელს ამ სასიამოვნო საქმეს თავის  
საყვარელის ქვეყნის პაწაწინა შვილე-  
ბის სასარგებლოდ.

ნ. ყიფიანისა.  
1895 წ. 21 მარტი.  
ს. ქვიშხეთი.

### ახალი ამბავი

\* \* \* პარასკევს, 24 მარტს, სალა-  
მოს 7 საათზედ „შუამავლის საზო-  
გადოების“ წევრებს კრება აქვთ და-  
ნიშნული ტფილისის სათავად-აზნაე-  
რო ბანკის თეატრის დარბაზში.

\* \* \* ამ გაზაფხულზედ პარისში გა-  
მოყვანა იქნება გამართული რუსეთის  
ცხენებისა; ამ გამოყვანას ჰმართავენ  
საფრანგეთის რამდენიმე ფულის პა-  
ტრონი და ამისი ნება ჯერ კიდევ  
ღვთის მიერ განსვენებულმა ხელმწიფე  
იმპერატორმა დაპრობა. ამ გამოყვანის  
გამმართველთ ჰსურთ, რაც შეიძლება,  
გრცლად წარმოუდგინონ საფრანგე-  
თის ხალხს ნამდვილი მდგომარეობა  
ცხენის მოშენებისა რუსეთში; ამისა-  
თვის, სხვათა შორის, ჩვენს ქვეყანა-  
შიც უნდათ შეიძინონ 80-მდე აქაუ-  
რის ჯიშის ცხენი; ამ ცხენებს  
ზღვით წაიყვანენ აქედან საფრანგე-  
თში.

რომ ამ ცხენებს მოუარონ და თა-  
ნაც ხალხს უჩვენონ გამოყვანაზედ,  
გამოყვანის მსურველთ ჰსურთ აქაუ-  
რი კაცებიც წაიყვანონ თან. ჩვენმა  
მთავრობამ ამისი ნება დაპრობა და  
გუმბრნატორებს ბრძანება მოუვიდათ  
თუ ვინმე კავკასიიდან წასვლა მო-  
ისურვოს ამ გამოყვანაზედ, მიეცით  
ნახევარის წლის პასპორტი. ამასთან-  
ნავე ისიც არის გამოცხადებული,  
რომ ვინც წავა საფრანგეთში, იქი-  
-

შინ მშიერმა, დაძინებულმა უნდა იწო-  
წილოს; არსად მიღებული არ უნდა  
იყო... მშიერი კაცი, ჩემი თელო, ვერ  
იციოცხლებს... მე ვერ ავიტანე ეს  
დამცირება, ჩემი თავმოყვარეობა ვერ  
შევიტანე და...  
— და იმისათვის ძარცვა-გლეჯა  
ამოიჩიე შენ სარბიელად, რომელიც  
ერთს დროს გძაგდა, გეჯავრებოდა!..  
დღეს-კი უამისოდ სიცოცხლე არ შე-  
გიძლიან?!

— მართალია, ვამბობდი იმას, რომ  
თავის დღეში სიმდიდრეს არ ვინატ-  
რებ, არ გავხდები მდიდარი-მეთქი,  
მაგრამ თვით ცხოვრების ჩარხის ბრუ-  
ნვამ შემაცვლევინა ეს შეხედულება  
და ჩამოვრჩიულა: „ამის განხორციე-  
ლება შეუძლებელია“—ო; მეც დავე-  
მორჩილე ამ ხმას და გინდა ამაზედ  
გამკაცებ კიდევ...  
— შენ საზოგადოებისათვის დაკა-  
რგული ყოფილხარ, შენგინთ აღარა  
გამოვა-რა კეთილი: შენ ხარ უგუ-  
ლო, უხასიათო ადამიანი, რომელიც  
საშინლად მძაგს, მეჯავრება!..  
— მაგას რომ ამბობ, მეგობარო,  
აბა, დახედე შენს თავს!.. კაცს მალ-  
ალი სასწავლებელი გაგითავებია, ამ-  
ოდენა ხანია უადგილოთ დაიარები,

განაც გამოყვანის გამმართველთა ხა-  
რჯით დაბრუნდებიან ჩვენს ქვეყანა-  
ში.

\* \* \* წარსულ თებერვლის განმავ-  
ლობაში, მტკვრის მარჯვენა მხრით  
მდებარე ტფილისის მარის სოფლე-  
ბში, ყვავილისაგან გარდაცვლილა  
რვა კაცი. ამა თვის 8—15 რიცხვა-  
მდე ელიზაბეტალის ახალშენში ახ-  
ლად გამხდარა ავად ექვსი; ამათგან  
ერთი მომკვდარა. როგორც შევიტ-  
ყეთ, ეს სენივე გაჩენილა სოფელს  
პრიუტშიაც, სადაც ჯერ-ჯერობით  
მხოლოდ ორი ყმაწვილი არის ავად.

\* \* \* გუშინდელს ნომერში ჩვენ  
გვეკონდა ახალ ამბათ მოთავსებული  
„ვოლნოპოტრედელიაუშის“ სი-  
მონივის თავის მოკვლის შესახებ შე-  
ნიშვნა, რომელშიაც მიზეზათ უიშე-  
ლო სიყვარული იყო დასახელებული.  
ესლა განსვენებულის ნაცნობები გვა-  
ტყობინებენ, რომ მიზეზი თავის მო-  
კვლისა თურმე შინაური გარემოება-  
ნი ყოფილა.

\* \* \* გაზეთი „რუსსკ. ვედ.“ წერს,  
რომ შავი ქვის მრეწველთ ნება მიე-  
ცათ დრო გამოშვებით საერთო კრე-  
ბა მოახდინონ ხოლმე საჭირო საგ-  
ნების განსახილველად.

\* \* \* ახალციხის მარის უფროსმა  
დებეშით აცნობა ტფილისის პოლიც-  
მეტერს, რომ წყლები ძლიერ აღიდ-  
და და შესაძლებელია, რომ მტკვა-  
რიც მოდიდესო. ტფილისის პო-  
ლიცემეტერს და ქალაქის მოურა-  
ვის მოადგილეს ჰქონდათ კი-  
დეც მოლაპარაკება და გარდასწყვი-  
ტეს, მე-8, მე-9 განყოფილე-  
ბებში და საზოგადოდ მტკვრის  
ნაპირებზედ დარაჯები დააყენონ და  
ხალხი გააფრთხილონ. მოსალოდნე-  
ლია, რომ მტკვარი დღეს დილითვე  
აღიდდება.

\* \* \* სოფელს დილოში, როგორც  
გვატყობინებენ, ამ თვის 18-ს საო-  
ფლე გაჩენილა, ავად გამხდარა სამი  
კაცი. მთავრობას განკარგულება მო-  
უხდენია საშუალების აღმოსაჩენად.

უბრალო მუშას დამზავსებულხარ,  
ადამიანს აღარ ჰგებხარ!..

— დეე, უბრალო მუშას ვემზავსო  
და ჩემს მიზანს, ჩემს რწმუნას-კი არა-  
სოდეს არ ვუღალატებ, თუ-გინდ მში-  
ერიც მოვეკვდე! არც ისეთს სისაძაგ-  
ლეს ჩავიდენ, რომ მოხუცი, პატიო-  
სნებით საესე მამა უბატრონოდ გავუ-  
შვა, როგორც შენ გინებებია თურმე;  
იმას ლეუკმა პური არა აქვს რომ კუ-  
ჭი გაეძლოს... შენ-კი მაღალ სართუ-  
ლებში დაბრძანებულხარ და დედ-მამის  
მოვალეობა-კი გაგითვლავს, შეგილ-  
ახავს... ორი დღეა რაც ჩამოვედი და  
გ—ში მითხრეს, რომ ბუქიაშვილის  
მამა რამოდენახანია ლოგინად არის  
ჩავარდნილი და შვილი-კი ზედაც არ  
უყურებსო... არა გრცხვენინა?! ნუ-  
თუ გული ისევე გაქვადული გაქვს,  
უგრძნობელი, როგორც სტუდენტო-  
ბისას გქონდა?!

— იმ დედ-მამას, რომელთა შესა-  
ხებაც შენ ესლა მეუბნები, თავიანთი  
სიცხლე გაუტარებიათ, ყოველი ძა-  
ლა გამოსცლიათ და საზოგადოებისა-  
თვის უსარგებლონი და მეტი ტვირ-  
თი გამხდარანი მათი არსებობა, ამ ე-  
მად მეტია!.. სნეულები, უნდა მალე  
მოისპონ და ამით საზოგადოება გან-

\* \* \* ს. ლახუნდარო: აქეთ კარგი  
ამინდებია, ავადმყოფობა არა არის-  
რა, მხოლოდ ცოტა არ იყოს გვაწუ-  
ხებენ; ამას წინად აქაურს მცხოვრებს  
ყიფიანს სახლი გაუტეხეს და წაიღეს  
ტანისამო-ის, ქვეშაგები და 20 მა-  
ნეთი ნაღდი ფული.

\* \* \* სოფ. ახალდაბა, (ბორჯომის  
საზოგად.): აქ ერთი უბედურება მოხ-  
და. თავ. სუმბათოვის ტყის დარაჯე-  
ბი კაღუსაშვილი და მამედ-ნამახ-ოლ-  
ლი შევიდნენ ღუქანში და ღვი-  
ნო მოითხოვეს, როცა დაითვრ-  
ნენ, მამედ-ნამახ-ოლიმ დაშა-  
ჩის სროლა დაიწყო, ხოლო რო-  
დესაც ღუქანში მყოფმა მეტივე სი-  
ლაძემ დაუშალა, დარაჯმა მეტი-  
ვეს დაუმიზნა დაშაჩა; მეტივე გა-  
ექცა, მაგრამ როდესაც ტყვია ას-  
ცდა, მოუბრუნდა დარაჯს და ცუ-  
ლი დაარტყა თავში. მამედ ნამახ-  
ოლი ცოტა ხნის შემდეგ გარდაი-  
ცვალა. საზოგადოდ თუმანოვის ტყის  
დარაჯები ძალიან აწუხებენ აქაუ-  
რებს.

### საზოგადოების საუბრადგომოდ.

როგორც ყოველთვის, აგრეთვე  
წელსაც ჰსურთ ვაჰმართონ „წერა-  
კიანის გამავრცელებელ საზოგადო-  
ების“ სასარგებლოდ ლოტარეა-ალეგ-  
რი. ამ ალეგრისათვის ყოველთვის  
გულმოდგინედ უშრომიათ ქართველს  
ქალებს და ესლაც ამ მიზნისათვის  
შემდგარა წრე, რომელსაც განზრ-  
ხული აქვს ხელთ-საქმები დაამზადოს.  
ეს წრე უკვე შესდგამია საქმეს. იმე-  
დია, რომ სხვა ალაგებშიც წაშაპვენ  
ქართველი ქალები ამ ჩინებულს მაგა-  
ლითს. ლოტარეა-ალეგრი დანიშნუ-  
ლია 7 მისისთვის მუშტაილში და  
საჭიროა დაუყოვნებლივ შეუდგენ  
საქმეს. შემოწირულებას მიიღებს კნე-  
ინა ოლგა თადეოზის ასული ქავჭა-  
ვიძისა.

### ქოქისპონდემცია.

ქიხის საზოგადოება, (შორაბ.  
მაზრა). წარსულის 1894 წ. სექტემბ-

თავისუფლდეს მათის უსარგებლო  
მზრუნველობისაგან... როგორც დაძ-  
ველებული, მენახიზმით მოშლილი  
მაშინა უსარგებლოა, უფარგისი, ისე-  
ვე მოხუცებული... ესლა ახალ თა-  
ობაზედ უნდა ვიზრუნოთ, იმათ უნ-  
და მივაქციოთ ყურადღება! მოხუც-  
ებულები მეტი ხორცი, მეტი ტვირ-  
თნი არიან საზოგადოებისა, უსარ-  
გებლო, გამხმარი ხე, რომელსაც აღა-  
რავითარი ნაყოფი აღარ მოაქვს!..  
— სტყუი! შეიძლება იურიდიული  
კანონი ამბობს მაგას, მაგრამ ამაზედ  
მალალი და წმინდა კანონი, კანონი  
სინილისისა, ამას არა ამბობს!.. მი-  
ნამ სნეულნი, უძლურნი და მოხუ-  
ცებულნი ცოცხალნი არიან, სანამ  
მათ პირში სული უდგიათ, მინამდის  
კაცობრიობა მოვალეა მოუაროს, და-  
ხმარება აღმოუჩინოს მათ, როგორც  
ჯან-საღო, როგორც ადამიანთ, რო-  
მელნიც მათსებრ ერთს სულს, ერთს  
ხორცს შეადგენენ და რომელნიც  
გონიერთა სამეფოს ეკუთვნებიან! აი,  
ამისთვის, თუ ცოტაოდენი შენში  
სიყვარული, სიბრალული მოიპოვება,  
შენი მოხუცი მამა ისე არ უნდა და-  
გეტოვებინა... მოვალე ხარ, მოვალე,  
შენი სიცოცხლე ანაცვალო იმ არსე-

რის თვედგან ს. კიცხში დაჩადა, რა-  
კლასიანი სამინისტროს სასწავლებელი.  
იმის დაარსებას მამუფა დაუყოფნა  
მის საეკლესიო-სამრევლო სკოლისა  
სოფ. ვარძიაში, თითონ კიცხში და  
ლახუნდარაში, როგორც ამას წინად  
ნათქვამი იყო „მწყესში“. სამინისტ-  
რო სასწავლებელი შესდგება ორის  
კლასისაგან სამეურნეო განყოფილე-  
ბით. სკოლას ადგილი აქვს რამდენიმე  
ქვეყა ბაღისათვის (სანიშნუ საიუ-  
შევარი). მასწავლებლის ჯამაგირი და-  
ვალებული აქვს აქაურს საზოგადოებას  
თანხმად სასოფლო დადგენილებისა.  
ორივე მასწავლებელს (ერთი მათგანი  
ზედამხედველიც იქნება) ჯამაგირი უნდა  
მიეცეს 800 მანეთი (თითონ 400 მ.).  
სკოლაში მიიღებიან გლეხთა ბ. იმ აზ-  
ნაურთა შვილები, რომლის მშობ-  
ლებს სოფლის განაჩენზედ ხელი აქვთ  
მოწერილი სურვილისამებრ და ფუ-  
ლი გამოღებული. ვისაც არ მიუცია  
ფული, მათგანს ახლა ბევრს ჰსურს  
შვილი მიიბაროს, მაგრამ რაღა დროს!  
ამ ეამად სკოლა (ერთი განყოფილე-  
ბა) მოთავსებულია სასოფლო კან-  
ცელარიაში. შენობის დამთავრებას  
მოველით დამდეგ სამოსწავლო წლი-  
დგან. მასწავლებლად დანიშნულია  
ხონის საოლტატო სემინარიაში სწავ-  
ლა-მესრულებული ბ-ნი დამაშიძე,  
რომელიც კარგს იმედებს იძლევა.  
ვიმედოვნებთ, რომ ბ-ნი დამაშიძე  
თვისს საქმეს ნათლად გაუძღვება და  
საურველს ნიადაგზედ დააყენებს იქა-  
ურის სკოლის სწავლის საქმეს.

### რუსეთის ცნობა.

„რუსსკ. ვედ.“-ში დაბეჭდილია  
შემდეგი: ამ დღეებში მოსკოვის უნი-  
ვერსიტეტის საბჭომ გამოუცხად-  
ებია 350 სტუდენტისათვის, რომ  
ისინი გამოირიცხულ იქნებიან უნი-  
ვერსიტეტიდან რადგანაც სასწავლო  
ფული ჯერ არ შეუტანიათ.

გარდასწყვიტულია რუსეთის ყველა  
სასულიერო სემინარიებში შემოიღონ  
სწავლება ზოგიერთის მედიკურის სა-  
გნებისა. ზოგიერთს სემინარიებში ამ  
საგნების შესწავლა უკვე იყო შემო-  
ბას, რომელმაც სიცოცხლე მოგანი-  
ქა, რომელსაც უყვარხარ და რომ-  
ლის ძვალ-რბილსაც შეადგენ ესლა  
შენ!..

— ესლა მე იმათთვის არა მცა-  
ლიან, მე ჩემი საქმეები მაქვს... ხომ  
ჰხედავ, ჩემი სახლი მუდამ საესე-ხალ-  
ხით, ყველას პასუხის მიცემა, შველა  
უნდა!..

— ფუ! შენს კაცობას, შენს პატი-  
ოსნებას და სინილისს!.. ძაღლთან  
ლაპარაკი უფრო უმჯობესია ვიდრე  
შენთან!

აღვლევებულმა თელომ შეჰყვირა,  
ერთი კიდევ ზიზღით შეჰხედა მითოს,  
კარები მაგრად გაიჯახუნა და სიბ-  
რახით არ იცოდა, საით მიდიოდა.

— გაჯავრდი, გაჯავრდი შენმა  
მზემ და ვნახოთ შენი პრინციპები  
სად მიგიყვანს, რას შეგძენს!..

მიადახა ეს სიტყვები კარბში მი-  
მავალს თედოს, მაგრამ ამავე დროს  
სინილისს ქენჯნაც იგრძო, იგრძნო  
რომ იგი სტყუოდა ქართლიშვილ-  
თან და რომ ყველასთვის უსარგებ-  
ლო და მავნებელი არსება იყო...

ალ. სოლოლაშვილი

დებულო, სხვათა შორის—ტვილი-სისაში.

### ნარკვევი

(ქრულ-გაზეთებიდან)

გაზეთი „მოსკ. ველ.“ „როზგის“ მოსპობის წინააღმდეგია. 18 მარტის ნომერში დასტამბულია ამის შესახებ წერილი, რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამია:

სადი ჭკუა რუსის გლეხისა აფასებს როზგს, როგორც საუკეთესო დასჯას. რუსის გლეხის აზრით, როზგა კადჯავს ასწორებს კაცს, კადჯავს აშინებს ბოროტს ადამიანსა.

დღეს ახალს ამბებში წაიკითხავდა მკითხველი, რომ პარასკევს, 24 მარტს, თეატრის დარბაზში საღამოს 7 საათზედ დანიშნული კრება „სავაჭრო ამხანაგობის შეუამავლის“ წევრთა.

ამ ამხანაგობის პროექტი შარშანდევ იყო შედგენილი, ეხლა ეს პროექტი უფრო კარგად შეუმუშავებიათ. ჩვენ ყოველთვის დიდს ყურადღებას ვაქცევდით შემოხსენებულს ამხანაგობას და ამიტომ ვისურვებთ ახლაც, რომ 24 მარტის კრებაზედ რაც შეიძლება მეტი ხალხი დაესწროს, როგორც კანონების მცოდნენი, აგრეთვე ეკონომიურის კითხვებისაც.

აი, 1893 წლის „ივერიის“ 195 ნომერში როგორ განმარტა ჩვენმა გაზეთმა შემოხსენებული ამხანაგობის მნიშვნელობა.

თუ რამდენად სავსარგებლო იქნება ამ ახალს ამხანაგობის მოღვაწეობა, ეს თავისთავად ცხადია და ნათელია, მაგრამ მანამ ვიდრე არ დადგინდება სატყუას. ამის მაგაჲრად, რომ თქვენმა საქმეებმა ხუთასა და ექვსას კომისიონერის ხელში გადასწავს, რომელსაც თათყუელი ამთავანი გაიკარნა ნაჭერს ახრთქვს, ესეა მწმომკებელს ეძლევა ღონისძიება თავისი საქმეებში შიდაშინ მათწოდოს შეიძლება. აქედან წარმოსდგება ის, რომ ის სავაჭრო სარგებელი, რომელსაც სუთი და ექვსი დაჯდა ადგილად საქმეებს, უოკლები ესე ახლად „სავაჭროების“ შემოქმედით დაჩქარება ჯიბეში თითონ საქმეების მატარებს, მწმომკებელს. ხოლო რაც შეეხება საქმეების შექმნას, აქაც ესევე წესი იქნება სწავლებელი. „ამხანაგობა“ ფაბრიკანტისაგან ნაყიდს, მეტე გუბი-დუღს და კვლავად ნაყიდს-კა ადარ მათწოდებს მეშტარს—და ამ ბადა-ყადა-გადმოყადაში, როგორ მატუ-ღობს მეშტარს თავის საქმეებს ფა-სი, ეს ადვილი წარმოსადგენია—ან-მედ მარდაშიან ფაბრიკანტს მოსუღს. ამ შემთხვევაში საქმეების. მეშტარს ეძლევა სავაჭრო, რომ უოკლები ბეგრად უფრო იათყად ამოქონს ვი-დრე დღეს, რადგანაც სამის და თი-სას მაგაჲრად ეოკლება შეამავლად მოსალოდ ერთი „ამხანაგობა“!

ამ სახით საქმეების მწმომკებელი რაგვარად მოგებულა. თავისი წარმომავლებად დიდი ეკონომია რე-ბა და ნაყიდ საქმეებზედ ახს ნაკლები სარგებლობა აქვს. რაღა თქმა უნდა, რომ ეს მნიშვნელობა დღესაც ისე დიდია, როგორც წინადაც და იმედი უნდა გექონდეს, რომ მისი საქმე კარგად წავა.

1893 წელს ეს იმედი ამგვარად იყო გამოთქმული ჩვენს გაზეთში:

იმედი-ვი გვაქვს, რომ ასეთი საფუძვლიანი და დროს შესაფერი საქმე კარგა წავა და დაუმტკიცებს ქვეყნას, რომ სამოქალაქო ნიჭი ქართველს ვაცნად მოეძებნება, თუ გაუჭირდა.

ორშაბათს, 20 მარტს, „არტიტი-ულ საზოგადოების დარბაზში“ გამართულს სალიტერატურო დრამატიულ საღამოზედ დიდი ყურადღება მიიქცია „არტიტი“ დარსკიანო, ამბობს გაზეთი „კავკაზი“, მაგრამ განაგრძობს გაზეთი, „რუსულის სცენის არტიტი უნდა ლაპარაკობდეს როგორც რუსი, ფრანგულის სცენისა, როგორც ფრანგი, გერმანულისა—როგორც გერმანელი და სხვა. საზოგადოდ კი არტიტი ენა-ჩლოუნგი არ უნდა იყოს.

ბატონ დარსკისთვის-კი ამგვარი ანბანი არ აჩვენებს, იგი რუსის გულის ამაშფოთებელ კალოთი ლაპარაკობს.

ამგვარის ნაკლის დასაფარავად საჭიროა, ნამეტნავად უმთავრესს კლასიკურს როლებში, ან დიდი და თვალსაჩინო ნიჭი ჰქონდეს, ან დიდი გაბედულება. ბ-ნი დარსკი სრულიად მოკლებულია პირველს, მხოლოდ მეორე ღირსება-კი გადაქარბებითა აქვს.

ჩვენ თავის დღეში არ გვინახავს ისეთი ცუდი მოთამაშე კინის როლისა, როგორც იყო ბ-ნი დარსკი და არც სხვა არტიტებში, თუნდაც სახელ-განთქმული გასტროლოგიც ყოფილიყო, ისეთი ამაცობა და თავის თავის იმედი არ შეგვიჩნევია, როგორც შევამჩნიეთ დარსკის.

მაგრამ დავისურათა-კი კინა? სრულიადაც არა! ერთი ბეწოთიც ვერ დავიხატა „თავის მხრით გენოსის კინის“ სურათი.

სამწუხაროდ, იმდენი მოთმინება აღარა გვქონდა, რომ პიესა ბოლომდის მოგვესმინა და გვენახა შესანიშნავი სცენა „ჰამლეტის“ დანაშაუ-ლი ზოგიერთი კრძალულად მარწმუნებდნენ, რომ ბ-ნი დარსკი კარგი სანახავია ამ როლებში.

ჩვენ-კი ვფიქრობთ, რომ ამ როლებში არ იქნება ბ-ნი დარსკი კარგი სანახავი, რადგანაც ჩვენა გვრწამს, რომ რაც უნდა ბევრს ეცადოს გუგული, მაინც ბულბულისებრ ვერ დაამღერებს.

მაგრამ მეორე ტფილისელი გაზეთი „ნოვ. ობოზ.“-კი სულ წინააღმდეგს ლაპარაკობს ამავე არტიტის შესახებ. „იუს მარტს ტფილისის საარტიტი დარბაზში გაიმართა წარმოდგენა არტიტის დარსკის მონაწილეობით, რომელიც ა. დიუმას „კინის“ როლს თამაშობდა. ახალგაზდა ტფილისელის არტიტის სახელ-ღმა დიდძალი საზოგადოება მიიზიდა დარბაზში.

დარსკი ნამდვილი არტიტი და მეტე იმისთანა არტიტი, რომელსაც საკმარისი დრო და მეცადინეობა მოუხმარებია თავისი სასცენო ნიჭის განვითარებისათვის. თამაშობს იგი მოფიქრებით და დიქციაც კარგადა აქვს შემუშავებული.

ბ-ნის დარსკის ნიჭის შესახებ დაწვრილებით შემდეგ მოველაპარაკებთ ჩვენს მკითხველებსაო.“

როდესაც მკითხველი საზოგადოება ერთსა და იმავე საგანზედ ასეთს წინააღმდეგს აზრს მოისმენს მწერლობისას, როგორღა გნებავთ, რომ პა

ტივის-ცემით მოეპყრას მწერლის აზრს?!

ცხადი არის, ამ ორს გაზეთში ერთი იმათგანისასტიკად სცდება და ამის გარდაწყვეტა შეუძლიანთ მხოლოდ იმათ, ვისაც არტიტი დარსკი უნახავს სცენაზედ.

ჩვენ-კი გვახსოვს, რომ ამ რამდენიმე წლის წინად პეტერბურგის საუკეთესო გაზეთებმა დიდად დაფასეს ბ-ნი დარსკის ნიჭი, სწორედ იმავე „ჰამლეტში“, რომლის შესახებაც ლაპარაკობს „კავკაზი“ და დიდი ქება გამოსთქვეს ამ არტიტისა; აქცენტიც შესახებ. ერთი სიტყვაც პეტერბურგის რეცენზენტებს არა უთქვამთ-რა, რომელიც უთუოდ არა ნაკლებად შეჭინავენდნენ თუ არტიტს მართლა ასეთი საზარელი აქცენტი ჰქონდეს.

### უცხოეთი

**გერმანია.** იმპერიის პარლამენტი და პრუსიის ორივე პალატის წევრნი, ფრედრიხსრუეში ჩამოსვლისათანავე, ვოკხალზედ დამწირვდნენ ორ წყებათ როგორც ჯარისკაცი. მცხოვანმა კანცლერმა, კირსინის ჯარის მუნდრით და კასკით გამოწყობილმა, მძიმედ ჩამოუარა „პარლამენტის დრუჟინას“ იმ რიგად თითქოს უფროსი ჯარსა სინჯავდესო. მას თან მოსდევდნენ ვაჟიშვილი და ექიმი ხრისანდერი, რომელიც კანცლერის ღივანის თანამდებობას ასრულებდა. თავადს, თუმცა თავი სწორედ ექირა და გაქიმილი დადიოდა, მაგრამ მანც ეტყობა, რომ ამ ბოლო ხანში ძალიან მოხუცებულია და ჯოხს მძიმედ ებჯინება. იგი ყოველს დებუტატს დაშტერებით აცქერდებოდა, და როდესაც ძველს ნაცნობს ჰნახავდა, ხუმრობის კილოზედ გამოელაპარაკებოდა ხოლმე. როდესაც უკანასკნელს წყებას მიუახლოვდა თავადმა სამხედროპატრიე მისცა დეპუტატებს და ეტლში ჩაჯდა, ამასთანავე მინისტრი კელლერიც მიიბატეა. ამ დროს ექიმი შენინგერი ეტლის კოფორზედ შესტა და ეტლმა სახლისაკენ გასწია, მაშინ როდესაც დებუტატები „ვაშა-ვაშას“ გაიძახოდნენ.

ამ დღეს ბისმარკს დებუტატებმა მიულოცეს და მეორე დღეს-კი, როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, თვით იმპერატორმა და მთავრობის წარმომადგენლებმა.

**ინგლისი.** მეწაღეთა შეთქმულობა თან-და-თან მატულობს, ასე რომ ამ ეამად 150 ათას კაცადეა მონაწილე. ორივე მხარე მოწინააღმდეგეთა თავისას გაიძახის და ერთი მეორეს არ უთმობს. იმათ უკვე უარ-წყვეს ლორდ სპენსერის, ეპისკოპოსის პიტერბროსისა და თვით ლაბუშერის წინააღმდეგ—საქმის მედიატორ ულის წესით გარდაწყვეტის შესახებ. მთავრობა ძალიან დაფიქრა ამ შეთქმულობაში! ასე რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა ასკვიტმა ლაბუშერს წერილით მიჰმართა, რომელშიც ის სურვილი გამოთქვა, რომ კარგი იქნებოდა უთანხმოება მუშათა და მექარხნეთა შორის მედიატორ ულის სამართლის საშუალებით მოისპოსო. რამდენიმე დებუტატმა გარდასწყვი-

ტეს ამ შეთქმულობის შესახებ ლაპარაკი პარლამენტის ერთ-ერთ კრებაზედ აღძრან.

### რამდენიმე შენიშვნა ახლად დაბადილ ქართულ დაბადების შემსახებ.

განვლო საუკუნე-ნახევარმა მას შემდეგ, რაც პირველად დაიბეჭდა ქართულს ენაზედ დაბადება მოსკოვში 1743 წელს ბატონიშვილის ბაქარის მიერ. ამ ათის წლის წინად კიდევ, სახელდობრ, 1884 წელს, მცირედ დაიბეჭდა ქართული დაბადება ქალაქ ტფილისში საერო, მხედრულად წოდებულის ასოებით. ამ უკანასკნელის ასოებით დაიბეჭდა იმიტომ, რომ საქართველოს ერის უმეტესს ნაწილს შესძლებოდა საღმრთო წერილის კითხვა, განსაზღვრებულად გონებისა და გულისა. ტფილისში დაბეჭდვა ქართულის დაბადების დიდს იმედს აძლევდა ერს, ყოველად ღირსეულად დაიბეჭდებოდა საღმრთო წერილის წიგნები, რადგანაც მეცნიერნი ქართულის ენისა, განათლებულნი, უმაღლესს სწავლა-მიღებულნი დედა-ქალაქ ტფილისში მცირენი არ არიანო; მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ეს იმედი არ გაუმართლდა ქართველობას.

ამ მეორედ დაბეჭდილ ქართულის დაბადების შესახებ ჩვენს მწერლობაში თითქმის არაფერი თქმულა.

სიყვარული ღვთის სიტყვისადმი, რომელიც უნდა იყოს დაცულს სრულს ქეშმარიტებით, ვითარცა ძვირფასი მარგალიტი, მაიძულებს წარმოვსთქვა რაოდენიმე შენიშვნა ახლად დაბეჭდილ დაბადების შესახებ. მისი მხოლოდობითი გარეგანი ღირსება ის არის, რომ დაბეჭდილია ადვილად საკითხავ რჩეულის ასოებით. სხვა მხრივ-კი მოკლებულია ყოველს ღირსებას, მომეტებულად შინაგანს. ვინ არის ამში ბრალეული, ანუ ვის ზედამხედველობის ქვეშ დაიბეჭდა ქართული დაბადება, მე ამის გამოძიებას არ შევუდგები; ამას-კი ვიტყვი დაქეშმარიტებით: რუსულად რომ ამ გვარად იყოს დაბეჭდილი, როგორც ჩვენი დაბადება, არა თუ გაყიდვას არ დაუწყებენ, არამედ მაშინვე ცეკხლს მისცემენ. ვინც სხვა ენა არ იცის, მისთვის შეუძლებელია კითხვა და სარგებლობა ამ ქართულის დაბადებისა, იქამდის არის ზოგიერთი ადგილი შებღალული, რომ სარწმუნოების წინააღმდეგს აზრს გამოჰხატავს. დარწმუნებული ვარ, ნახევარზედ მომეტებულნი სამღვდლონი და საერონიც ვერ წაიკითხვენ ამ დაბადებას, თუ რუსული, ანუ სხვა ევროპიული ენა არ შეუწავლიათ. მღაბიონი ხომ ცხადია, ახლოც ვერ მიეკარებოან ამ ცხოველს წყაროს და სუფიქსს სუფიქსს. ვერ მიეკარებოან იმიტომ, რომ მაგნებელი იქნება მათთვის კითხვა ამ გვარად დაბეჭდილის დაბადებისა.

სამღვდლოთა სავაჭრო კრებამ 1893 წლის ოქტომბერში, არ ვიცი რა მიზეზით ყურადღება არ მიიქცია ამ ფრიად ღირსშესანიშნავს საგანს. სამღვდლოებისათვის საღმრთო წერილი უნდა იყოს სულიერი ხრმალი და ამ იარაღით აღჭურვილი, უნდა იცავდეს იგი მართლ-მადიდებლობას და წინააღმდეგს ყოველს ცრუ სწავლა-მოდღებობას, რომელიც არ შესაბამება მართლ-მადიდებელს

სარწმუნოებას. ახლად დაბეჭდილს ქართულს დაბადებაში არ არის დაცული ბევრგან სასცენი ნიშნები. ზოგჯერ იმისთანა ადგილას ზის წერტილი, ანუ მძიმე, რომ უმთავრესი აზრი სრულიად გაუგებარია, ანუ წინააღმდეგია ქეშმარიტებისა; ხშირად მუხლნი ისრეა დაყოფილი, რომ სრულიად იკარგება ნამდვილი აზრი. ზოგჯერ წიგნებიც და თავებიც არეულია, მაგალ.: მეორე სჯულის წიგნი 14 თავიდან 26 მუხლიდან უნდა გარდახვიდეს მსაჯულთა წიგნი 387 კაბადონზედ. იქ უნდა წიკითხობთ განგრძობა მე-14 თავისა მეორე სჯულისა, სრული თავები: 15, 16, 17 და 18 თავის განგრძობას 15 მუხლიდან კვლად უკანვე უნდა შეუდგე მეორე სჯულის წიგნი. ეგრეთვე განგრძობა მეოთხე თავისა მსაჯულთა წიგნისა 18 მუხლიდან და სრული თავები: 15, 16, 17 და 18 უნდა მოსძებნო მეორე სჯულის წიგნი 395 კაბადონიდან. ყოველი მუხლი არ იწყება თავიდან, არამედ შეუდგება და ესეც დიდი ნაკლულე-ვანებაა დაბადებისათვის. ნაჩვენები შეცდომანი, ვგონებ, მხოლოდ მესელი ნაწილია იმ შეცდომათა, რომელიც მოიპოვება ჩვენს დაბადებაში. ამის გარდა, ერთი ნაკლულე-ვანება კიდევ ჩვენის დაბადებისა: რუსული დაბადება, დაბეჭდილი უწმიდსინოდის მიერ 1894 წელს, მშვენიერს ყდაში ზის და ღირს ოთხი მანეთი, ძველი და ახალი აღთქმაც ერთ წიგნად არის. ხოლო ქართული დაბადება, უგარგისად დაბეჭდილი არის ტლანქე წიგნად, იგიც მხოლოდ ძველი აღთქმა, ღირს ექვსი მანეთი და 50 კაპ.

რასაკვირველია, მრავალი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ კიდევ იმის დასამტკიცებლად, თუ რაოდენად ბევრი შეცდომაა ქართულს ახლად დაბეჭდილს დაბადებაში, რაოდენად შებღალულია ზოგიერთი ადგილი ჩვენის საღმრთო წიგნებისა და რაოდენად ერთმევა აზრი ამა თუ იმ შეცდომით დაბეჭდილს წინააღმდეგსა და ფრასას. შესაძლოა, ზოგი ერთი ადგილი შეცდომით იყო დაბეჭდილი ბატონის შვილის ბაქარის მიერაც. და ეს უკანასკნელი გარემოებაც შემოხსენებულია შეცდომათა თანა უფრო მეტად დალაღებს და ამტკიცებს იმ ბრძოლის განკარგულების საჭიროებას, რომლის ძალითაც უკვე გარდაწყვეტილია ხელ-ახლად დაიბეჭდოს ქართული დაბადება.

ბედნიერი არიან სხვა ერნი, მაგალ.: რუსნი, ბერძენნი, ფრანგნი, სომეხნი, ინგლისელნი და სხვანი, რომელთაც შეუძლიანთ დასტკბენ „უფრას თავფისა და გლეჯისა“ და მოიკლან წყურვილი წყაროსაგან წყლისა ცხოველისა—საღმრთო წერილის წაკითხვით თვისსა ადვილად გასაგონ ახალს დედა-ენაზედ. მხოლოდ ქართველი ერთ-კი მოკლებულია ამ ძვირფასს სულიერს საუნჯეს, სიხარულსა და ნეტარებასა, მიუცილებელს საჭიროებას დედა-ენაზედ საღმრთო წერილის წაკითხვისას და ღვთის-მსახურების მოსმენას წმ. მოციქული პავლე, რომელმან მრავალთა ერთა უქადავა სახარება ქრისტესი თვითოეულს მათ სამშობლო ენაზედ, გამოჰხატავს ესრეთ, კორინთ. 1 ეპისტ. 14 თავ. 14, 16, 17 და 19 მუხლები: ეგლეჯისას შინა მსუჯეს სუთ სიტყვა-გონებითა ჩე-

მითა თქმად, რათა სსკათობა უმოდურად...

საქართველოს სამღვდლოების ის...

ბრიტანიული ბიბლიური საზოგადოება...

11 მარტს, შაბათს, საღამოს ლოცვა...

უკეთუ გარდაღება ახალს ქართულს...

ლია, მაშინ აუცილებლად საჭიროა...

რომელიმე სიტყვანი, დაბადებაში...

20 მარტი, 1895 წ.

წერილი რედაქციის მიმართ

11 მარტს, შაბათს, საღამოს ლოცვა...

მეორე დღეს განხილეთ მე, ის ქ. ბ. და...

მე რუსულად გუთხარა: „განა ყველა...

— მამ თუ ატრუ, რატომ გუშინ არ...

— ჯო, დიდი ჩვენ უფრო წმინდებს...

მე ამ სიტყვამ ძალიან შემაფიქრანს...

— მე რა იცის თქვენმა მკაცრებმა...

— ეს ჩვენა სიტყვა. ეს კვლევისა...

— ამისხანით, ერთი გუთხარე—რის...

განცხადებანი

ბირველი კერძო სამკურნალო...

ეკიმის ნავსარდიაანისა...

ბ. ა. ნავსარდიაანი, 11—12 საათ...

გორნცოვის ექველესიის წინადა...

ლორი

საღვთისწალოდ მზადდება მრავალი...

საუკეთესო საჩისხასა.

ამ თავით დაკვეთა შეიძლება უმი...

ამავე მალაზიაში მსურველი მუდამ...

ამავე მალაზიაში მსურველი მუდამ...